# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



## ქართული თეატრი

დღეს, 19 აპრილს,

ქართულის დრამატიულის დასის არტისტი ა. მაქსიმიძე გამართავს წარმოდგენას

## ქოროღლი

ტრაგედია ოთხს მოქმედებად, თხზ. ზ. ანტონოვისა.

წარმოდგენის შემდეგ იქნება

## ლეკური.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ანდრონიკოვისა, ლეონიძისა, თამაროვისა, ბ-ნი: მოხვევ, ცაგარელი, მაქსიმიძე, კავთელი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ

ფასები ჩვეულებრივია.


ტფილისი, 18 აპრილი

ჩვენ წინა წერილში, ჩვენის შეძლებისა-მებრ, ვარჩვენეთ, — რა საზომით და საწყაოთი უნდა შესდგომოდა კაცი „ვეფხვის-ტყაოსნის“ ავ-კარგიანობის გამოსარკვევად და საცოდნელად. ამ საზომის და საწყაოს უარ-ყოფა უარ-ყოფაა იმისი, რომ «ვეფხვის-ტყაოსანის» გმირნი საერთო კაცობრიულს რასმე წარმოადგენენ. ნუ თუ მართლა ტარიელის ხასიათსა, თვისებასა და ბუნებაში, ანუ ავთანდილისაში, ანუ სხვისაში სხვა არა მოიპოვება-რა საერთო კაცობრიული იმისთანა, რომლის მეტ-ნაკლები გამოხატვა ერთად-ერთი საზომია, ერთად-ერთი საწყაოა მწერალის შემოქმედობის ძალის მეტ-ნაკლებობისა! განა ამ შემოქმედობის ძალის მეტ-ნაკლებობის გამორკვევა არ არის პირველი და უკანასკნელი საგანი კრიტიკოსისა! თუ ასეა, ნუ თუ ამ გმირების ავ-კარგიანობა, ისე ცხოვლად, ისე მთლად და ისე მართლად განსურათებული მათისავე მოქმედებით, ქცევით, სიტყვა-პასუხით, გულის-თქმის და საქციელის ერთმანეთზედ დამოკიდებულობით, ეპიზოდების ერთმანეთისაგან წარმომდინარებით, არასფერს ზოგადს საპსიხოლოგიო, საესტეტიკო, საეტიკო, საფილოსოფიო საგანს არ წარმოადგენს! ნუ თუ ის ახოვანი, ღონიერი, ჯან-მრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაჟკაცი ტარიელი რუსთაველმა თავის ნებაზედ ბოლოს მჩვრად აქცია და ყოველს ამას სხვა მიზეზი არა აქვს-რა გარდა რუსთაველის თვით-ნებობისა და ზარმაცის ქართლელის გამოსახვის სურვილისა! ეს რომ ასე იყოს, მისი თხზულება ხომ პამფლეტი იქნება თუ ძაგებაა, და რეკლამა—თუ ქებაა და არა დიდებული ნამოქმედარი შემოქმედობისა.

ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამა-კაცნი და დედაკაცნი „ვეფხვის-ტყაოსნისა“ ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და მაშასადამე ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი. აი თუნდა ავიღოთ ლექტორის მიერ თითქმის სასაცილოდ აგდებული მაგალითი, რომ ტარიელს ნესტან-დარეჯანის პირველ დანახვაზედ გული შემოეყარა და დაბნდა. ამ შემთხვევამდე კი რუსთაველმა ბევრგან გვაჩვენა, რა ძლიერი კაცია ყოვლის ფრით ტარიელი სულითა თუ ხორცითა. ამ თვალად მცირე შემთხვევაშია მთელი ნასკვი, რომლისაგანაც გამოიხსნება მთელი რთული ხასიათი იმისთანა კაცისა, როგორიც ტარიელია. კარგს გონება-მახვილს და გამჭრიახს პსიხოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალ-ღონივრობა ტარიელისა აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ,—პირდაპირ მოგახსენებსთ, რომ ტარიელი დიდის გულის-თქმის კაცია, იმისთანა გულის-თქმისა, რომელსაც ვეღარც ხორცი უძლებს და ვეღარც სული და რომელიც ჭკუას, გონებას მთლად იმორჩილებს როგორც ზარი, ელდა, მეხი. რაკი კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება, ის მკვდარია საქმისათვის, მოქმედებისათვის. ამიტომაც ტარიელისთანა ძალ-ღონიერი კაცი და მისთანავე გულის-თქმისა უოვლად შემძლებელია, თუ გარემოება ცხოვრებისა გულის-თქმაში ხელს უწყობს, ესე იგი, თუ გულის-თქმას გმაყოფილებას აძლევს და არჟმებს,—და თუ არა, ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთის სიტყვით, სნეულია. ეს თვისება გულის-თქმისა რუსთაველმა ძლიერ კარგად იცის და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულის-თქმას იმორჩილებს და ეურჩება. მინამ გულის-შემოყრის ამბავს აამბობინებს ტარიელს, იგი გვეუბნება:

> ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა,
> რომელნი ეურჩებიან. (საწუთროს ხლომასათ.)

ნუ თუ ძნელი მისახვედრია ამით, რის თქმა უნდა რუსთაველსა? რა პსიხოლოგიური შუქი მოჰფინა ამის თქმით გულის-შემოყრის ამბავსა? დიდის გულის-თქმის კაცის ამაავი ასეაო და ბრძენს კაცს კი, რომელიც გულის-თქმას იმორჩილებს, ჭკუას აუფლებს, ეს არ მოევლინება. აგი ჭკვიანი და ბრძენი ავთანდილი, რომელსაც გულის-თქმა დამორჩილებული ჰყავს, არსად არც ერთს მაგალითს არ წარმოგვიდგენს ან დაბნედისას, ან გულ-შემოყრისას და სხვა ამ გვარის მარცხისას გულის-თქმისაგან.

ავთანდილმაც ძალიან კარგად იცის, რომ ტარიელი წადილს, გულის-თქმას წაუღია, და იმითია სნეული, რომ ვერც ერთი ვერ უძლევია. ამიტომაც ავთანდილი ამ მართლადა უებარს წამალს ურჩევს ტარიელს:

> რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ,—
> ნუ სდევ წადილთა ნებასა.

ნესტარი სწორედ შიგ წყლულში ჰკრა ამით ავთანდილმა.

თვითონ ტარიელმაც ძალიან კარგად იცის, რომ თავი ხელთ აღარა აქვს და რა ყოფაშია ჩავარდნილი გულის-თქმისაგან, რომელიც ვეღარაფრით ვერ დაუძლევია. ასე იცის გულის-თქმამ, როცა კაცი სადავეს ხელთ მისცემს და მიუშვებს. აბა ყური დაუგდეთ რა პასუხს იძლევა ტარიელი, როცა ავთანდილი ამ რიგად დარიგებას აძლევს:

> თუ ბრძენი ხარ, ყოელი ბრძენი
> აპირებენ ამა პირსა:
> ჰხამს მამაცი მამაცური,
> სჯობს რაზომცა ნელად სტირსა;
> ჭირსა შიგან გამაგრება
> ასე უნდა ვით ქვითკირსა.
> თავისისა ცნობისაგან
> ჩავარდება კაცი ჭირსა.
> ბრძენი ხარ და გამორჩევა
> არა იცი ბრძენთა თქმულებ...

მართალია ტარიელი ბრძენია, მაგრამ ბრძენია მარტო მაშინ, როცა გულის-თქმას არ შეუპყრია და გულის-თქმით შეპყრობილი კი სნეულია, ცნობა-დაკარგულია. იგი ეუბნება ავთანდილს:

> ბრძენი ვინ ბრძენი, რა ბრძენი?
> ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!
> ეგ საუბარი მაშინ ჰხამს,
> თუცაღა ვიყო ცნობასა...

გულის-თქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ ღონე და უღონობამ მჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი. აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი!... აქ კა-

## ფელეტონი

### ცხოვრების წვრილმანები *)

#### ოჯახის შვილი გლეხ-კაცი

(შჩედრინიდამ)

იცი, მკითხველო, რაებს ჩადის ოჯახის შვილი გლეხ-კაცი, რომ ცოლშვილი გამოჰკვებოს და მტერსა და მოყვარეს გაუძლევს?—ოჰ, ეს მთელი მეცნიერებაა. ამას უნდა გველის სიბრძნე, პოლიტიკოსის მოხერხება, ხალხის ზნისა და ჩვეულების ცოდნა და ადამიანის გულის პასუხის გაგება.

ოჯახის შვილი ხალხის ანდაზას მისდევს: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო“. უპატივცემულოდ არც ის უნდა დარჩეს, ვინც მეურნეობაში ხელს უწყობს და ეხმარება. უმთავრესი მისი მზრუნველობა ის არის, რომ ყველამ საჭმელი ზომიერად იხმაროს და, ამავე დროს, ყველა მაძღარი იყოს, კარგად იმუშაოს. პირველი საგანი, რომელიც მის ყურადღებას იპყრობს, პურია. ის უთუოდ ხმელსა და ფაშარს პურს მოიტანს სუფრაზე და არა ახალს გამომცხვარს. რისთვის? — იმისთვის, რომ ფაშარი პური სარფაა: ახალ გამომცხვარი ორი იმდენი შეიჭმევა. ერბოს, თუნდაც რომ ჰქონდეს, საჭმელს არ უზამს,—იყიდის სელის ზეთს და იმითი მოამზადებს. რისთვის? — იმისთვის, რომ ერბოთი მომზადებული საჭმელი მეტი შეიჭმევა. ახალ საკლავს მხოლოდ დიდს დღესასწაულს გააჩენს, იმიტომ-რომ ძვირია და არც სოფელში იშოვება, მაგრამ უფრო იმისთვის, რომ ხელს არ მისცემს:— საკლავი რა ნაირიც უნდა იყოს, იმითი გლეხ-კაცს ვერ გააძღობ. მხოლოდ ერთი საშუალებაა ამ მომეტებულ ხარჯიდგან თავ დაღწევისა. ეს ის არის, რომ თუ გაჭირება არ ადგას, სულ არ გააჭაჭანოს ამ გვარი ულუფა.

ბრიყვულად არც მაშინ იქცევა, როცა ბევრი სტუმრები დაესხმის: საშობაოდ, სააღდგომოდ, ქორწილსა და ნათლობაში. ღვინოში არაყს გაურევს, რომ სტუმრები უცბად დაითვრნენ.

— როგორც დალევენ თითო ჭიქას,—ამბობს ის:—იმ წამსვე დაითვრებიან: აღარც საჭმელი გაახსენდებათ და აღარც სასმელი. თორემ თუ გლეხ-კაცს კარგი ღვინო მიუდგი, სულ მუცელში ჩაისხავს, რაც ღვინო გაგაჩნია.

საქმნელს ოჯახის შვილი შემოდგომითვე აძლობს, რომ ზამთარში ნაკლები საჭმელი მოუნდეს. საგაზაფხულოდ თივა რომ შემოაკლდება, სიმინდის ჩა[illegible] მიუგდებს და ალირღნიებს. ახალის ბალახის ამოსვლამდე როგორც იქნება მიაღწევინებს; მერე მინდორში გაუძახებს და სულს მოაბრუნებინებს.

ესეთია მისის ხასიათის თვისება და ამ ჩვეულებაზეა დამყარებული მისი ავლა-დიდება. მოსვენება არაოდეს არა აქვს; დილიდამ საღამომდე სხვა-და-სხვა წვრილმანსმოწყობილობაზე ჰფიქრობს. ბევრი ვალდებულება აწევს კისერზე: ჯერ უნდა გამოიანგარიშოს და განსაზღვროს, რა მოუნდება თავის თავზედ და ოჯახზე; მერე უნდა წლიურს გარდასახადზე იფიქროს და ამ ტვირთის შესამსუბუქებელი საშუალება გამოძებნოს; ბოლოს, თუ რამე გადარჩება, «გაჭირვების დღისთვის» გადასდოს. მაგრამ ანგარიში მუდამ არეული აქვს. ხშირად მოულოდნელი ხარჯი შეემთხვევა ხოლმე, ან ქორწილი აქვს, ან ნათლობა—ესენი არიან მისნი დამტანჯველნი. ოღონდ ერთი-ორი გროში გამორჩენა ჰქონდეს და არც ჯანს დაზოგავს და არც ღონესა.

ფულია გლეხის სისხლის დამშრობი. ფული იმას მხოლოდ მარილში, ღვინოში და დიდის დღესასწაულის საკლავში ეხარჯება. დრო-გამოშვებით გასათხოვარ ქალს ჩითის კაბას შეუკერავს და თავ-მოსახვევს უყიდის; ნამ ზავრი რომ მოდის ქალაქიდამ, ბავშვებს შაქრის პურს მოუტანს, ან ბლითს; ხან თავისთვის ლევდს იყიდის და ცოლისათვის იაფ ფასიან საკაბეს. აი, ეს არის მთელი შინაური მისი ხარჯი; დანარჩენი სხვა-და-სხვა გარდასახადისთვის უნდა შეინახოს: ეს არის მუდმივი მისი ვარამი.

ამ გარდასახადისათვის ლუკმას შუა იყოფს და რაც „ნამეტნავად“ მიაჩნია, ქალაქში მიაქვს და ჰყიდის; ამ გარდასახადისათვის ოჯახს რძეს აკლებს და ხბოს აწოვებს, რომელიც შემდეგ ფულად უნდა აქციოს; წვიმასა და ქარში ქვეითად ოცსა და ორმოცს ვერსს დადის და ერთს კონა ჩალას მიათრევს ქალაქში გასასყიდად; ამ გარდასახადისათვის ვაჭარს თავს ატყუებინებს: წონაში, ზომაში, თვლაში, ანგარიშში და ხშირად მკვლარსა და ცოცხალს აგინებინებს; ამისათვის ქვეყნის მყვლეფავს ის ხაფანგში ჰყავს გაბმული. იმას ქვეყნის მყვლეფაობისათვის არც შნო აქვს და არც სურვილი; ის მხოლოდ მიმხდომია და ოჯახის კაცია.

რასაკვირველია, ოჯახის შვილი გლეხ-კაცი ერთის აზრით არის გამსჭვალული: თავი და ცოლ-შვილი გამოჰკვებოს და ხვალინდელს დღეზე იფიქროს.

ეს აზრი ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და თავისი ცხოვრება იმ ვითარების გარეშე ვერ წარმოუდგენია, რომელშიაც არის. დარწმუნებულია, რომ ეს ვიი გარება მისთვის არის გაჩენილი. ურემი მიაქვს ქალაქში და თვალები გაფაციცებული აქვს,—ეგები რამე ვიპოვოვო. თუ ქუჩაში ნალი გდია, აიღებს და ილლიაში ამოიდებს (ნალის პოვნა კაი ნიშანია); ქალალდის ნაგლეჯს ჰნახავს, ან პაპიროზის ნაწვავს —ამეებსაც აიღებს; ნაფოტიც რომ ნახოს, იმასაც ურემზე აგდებს და შინ მიაქვს. დღეს ერთი ნაფოტი, ხვალ მეორე და ბოლოს მთელი ურემი გროვდება. ქალაქის მოწყობილობა «დაეთარს უბნევს». მოქალაქესთან მუდამ შული და შფოთი აქვს და «გამომსარჩლებელიც» არავინა ჰყავს. ან-კი ის რას გააწყობს ქალაქში, სადაც სულ ბობოლეები სცხოვრობენ და ვაჭრები, რომლებიც ბობოლეებად სთვლიან თავს; თუ ცოტა რამე მოხდა, ამათ პოლიციელი ეხმარება და საწყალი გაუჩორკნავი გლეხი პოლიციაში მიჰყავთ. ამ უსწავლელს და გაუგებარს სად შეუძლიან თავი დააღწიოს იმ მახეებს, რომლებიც მხოლოდ მისთვის არის აქ დაგებული? ქალაქში ამისათვის მოტანილი ხორაგი „მაზანდაზე“ უნდა გაჰყიდოს, ცხენს საჩქაროდ საჭმელი უნდა მისცეს, საყიდლები მოათავოს და მზის ჩასვლამდე შინ უნდა მივიდეს. აქ ის ანგარიშს მოჰყვება, გროშებს ითვლის, ქაღალდის დაჭმუჭნულს ფულს ასწორებს და სანათზე ათვალიერებს; ბოლოს ორმოც-და-ათს

*) იხ. „Вѣстникъ Европы“ დეკემბრის წიგნი, 1886 წ.

ცად-კაცია, გულის-თქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდამ ბოლომდე.

ან აიღეთ ერთი მაგალითი კიდევ, საცა რუსთაველმა საოცარი ღრმად ცოდნა ადამიანის გულისა დაგვანახვა. გაიხსენეთ ის ადგილი, როცა ტარიელი პირველად შეეყრება სალაპარაკოდ ნესტან-დარეჯანსა, რომელიც ისეთისავე დიდის გულის-თქმის დედა-კაცია, როგორიც მამა-კაცი ტარიელი. ტარიელი ამ ამბავს ასე მოგვითხრობს:

ამიგდო ქალმა ფარდაგი
მძიმე თავისა ძალითა,
სადა სდგა კუბო შემკული
ბალახშითა და ლალითა.
შიგან ჰჯდა იგი პირითა,
მზისაებრ ელვა-მკრთალითა;
მე შემომხედის ლამაზად
მის მელნის ტბისა თვალითა.

დიდხანს ვსდეგ და არა მითხრა
სიტყვა მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილად შემომხედის,
ვითამცა რამ შინაურსა,
ასმათ უხმო, მოუბნეთა
ქალი მოსდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს“ და სხვ.

ამისთანაზედ იტყვიან ხოლმე, გენიოსური კალმის მოსმააო და სწორედაც ესეა. დიდად საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო და ზედ-მოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა-კი ცრემლს ადენს, დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი ღიმილი, დიდი გულის-თქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა-კი ყბედი და ლაქლაქა.

აი გულთა-მხილავი რუსთაველი რამ სიდიდე გრძნობას ჰხედავს ნესტან დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევა-მოსილობას: ქალმა ვეღარა სთქვა რა, სიტყვა შეეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ-რომ ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა და ეს ბუნების სხვა-და-სხვაობა სხვადასხვა ზედ-მოქმედებასაც ექვემდებარება, ერთისა და იმავე მიზეზისაგან წარმომდგარსა,—ამ შემთხვევაში—სატრფოთა პირველად სალაპარაკოდ შეყრისაგან. ასე მართლად მკვლევარია რუსთაველი, ასე საოცრად მართლ-მხედველია მისი თუ,—რა ბუნებამ როგორ უნდა აღიბეჭდოს თუნდ ერთისა და იმავე მიზეზის ზედ-მოქმედება.

ჩვენ რომ ვსთქვით, ზემოხსენებული მაგალითი გენიოსური კალმის მოსმააო, ჩვენ იმიტომ-კი არა ვსთქვით, რომ რუსთაველმა ეს პსიხოლოგიური წუთი შეჰნიშნა და პსიხოლოგიის მიხედვით მართლადაც დაგვიხატა. ეს ხომ ქების ღირსია და ღირსი. ჩვენ აქ სხვა მხარესაცა ვხედავთ. ჩვენ იმაზედაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება მკითხველისა თუ,—რა ხელოვნებით არის ნანიშნი იმა გრძნობის ძლიერება და სიდიადე, რომელსაც იმ წუთს უნდა შეეპყრა იმისთანა გულის-თქმის ქალი, როგორიც ნესტან-დარეჯანია. რუსთაველი, სასწაულ-მოქმედსავით, ერთის კალმის მოსმით ჰქმნის ამ სასწაულსა და გვეუბნება,—ტარიელი დაითხოვა, ისიც სხვისა პირით: «აწ წადიო, ვერას გითხრობს». ესე იგი, ქალი დამუნჯდაო,—და აბა იფიქრეთ, რა გრძნობაა ამის მომქმედი გრძნობა! შეიძლებოდა ამაზედ ცხოვლად, ამაზედ უკეთესად ოთხის სიტყვით კაცმა კაცს ანიშნოს ძლიერება და სიდიადე გრძნობისა, როგორც მით არის ნანიშნი, რომ იმ გრძნობამ ადამიანი დაამუნჯაო მაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად სალაპარაკოდ შეეყრება თავის სატრფოსა? აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა.

სახელოვანი გერმანიელი კრიტიკოსი ლესინგი დიდად უქებს რა ამისთანა გენიოსურს მანერას მსოფლიო გენიოსს ჰომიროსსა, ამბობს: „ჰომიროსმა იცის და იმისთანა ხატს საოცარის მშვენიერებისას როგორც ელენეა, ისე გვიხატავს, რომ ვერა მხატვრობა მაგას ვერ შესძლებს. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ელენე შეჰყავს ჰომიროსს ტროადის ერის მოხუცთა კრებაში. ჰნახეს თუ არა, დარბაისელნი მოხუცნი ერთმანეთს ასე ეუბნებიან: „არა, განკიცხვა შეუძლებელია, რაკი ამისთანა ქალისათვის ერთმანეთს ეომებიან ტროადის ძენი და აქეველნი და ამ ხანგრძლივს სისხლის-ღვრაში ამდენს ვაებას ითმენენ. ჭეშმარიტად, უკვდავთა ღმერთთათანა შესარიცხია იგი მშვენიერებითაო.“

მოჰყავს რა ეს ადგილი ჰომიროსის უკვდავის თხზულებიდამ, ლესსინგი ასე ათავებს: „სხვას რას შეუძლიან ასე ცხოვლად აცოდინოს კაცს ის მომჯადოებელი მშვენიერება, რომელსაც თვით გულ-ცივი სიბერეც კი ჰხადის ღირსად იმ ომებისა, რომელთაც იმოდენი სისხლი და ცრემლი მთელს ერს დაანთხევინესო“. რით ჩამოუვარდება ზემომოყვანილი მაგალითი რუსთველისა ამ ჰომიროსის გენიოსობის მაგალითსა.

## ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 20 აპრილს, ტფილისის საქალაქო საბჭოში მორიგი კრებაა დანიშნული. კრება განიხილავს, რა წესით უნდა ისარგებლონ მცხოვრებლებმა ქალაქში გაყვანილის წყლითა.

⁂ ტფილისის საქალაქო სასკოლო კომიტეტს, როგორც შევიტყეთ, ჯერ საბოლოვოდ არ გადაუწყვეტია, სამის წლის მაგიერ ოთხის წლის კურსი დააწესოს თუ არა თავის პირველდასაწყის სკოლებში. ამ საგანზედ ქალაქის მასწავლებლებს დიდი სჯა ჰქონიათ, რადგან კომიტეტი იმათ დაჰკითხებია, კარგი იქნება თუ არა, ასე რომ მოვიქცეთო. წინადადება სასკოლო კომიტეტისა მოუწონებიათ მასწავლებლებს: ერთი წელიწადი მოემატება სკოლას და პროგრამაც სწავლებისა გავრცელდებაო. მაგრამ ამასთავე მასწავლებლებს ისიც გამოუცხადებიათ, რომ თუ ოთხის წლის კურსი დაწესდება სკოლებში, მაშინ ორს წელიწადში ერთხელ უნდა მივიღოთ ხოლმე შეგირდები, თორემ ორის მაგიერ სამი და ოთხი განყოფილება შესდგება და ერთს მასწავლებელს გაუჭირდება ყმაწვილების სწავლებაო.

⁂ ვერაფერს სურათს წარმოადგენს ამ ჟამად ჩვენის ქალაქის ქუჩები. საშინელს ტლაპოს და წუმპეებს რომ თავი დავანებოთ, ბევრგან ისე დაოღრო ჩოღროვდა ეს ქუჩები, რომ საშიშია, ფეხი არსად არ ჩაუვარდეს კაცს და კისერი არ მოიტეხოს. საქმე ის არის, რომ საცა მილები ჩააწყეს და მიწა წააფარეს თხრილებს, ამ მიწამ პატარა ხანს უკან ძირს დაიწია. წვიმებისა და ნიაღვრების გამო ზოგან მეტის-მეტად დაიხრამა ეს მიწა-წაყრილი თხრილები. დღე-კიდევ მოერიდება კაცი ამ საფრთხეებს, მაგრამ ღამე-კი დიდი სიფრთხილეა საჭირო.

⁂ ქუთაისის მაზრიდამ გვწერენ, რომ ამას წინად აქედამ მოწერილი იყო თქვენს გაზეთში, ვითომ სოფელს ქოლობანში რაღაც უცნაური სენი გაჩენილიყოს და ვითომ ეს სენი დიდს ზარალს აძლევდეს ხალხსა. მე თვით ამ სოფლის მცხოვრები ვარ და არა მახსოვს-რა, რომ მაგ გვარი რამ სენი გაჩენილიყოს ჩვენში. პირ-იქით, ჩვენს სოფელში ფრიად მარგებელი ჰაერია და არამც თუ ისეთი რამ სენი, არამედ უბრალო ციებ-ცხელებაც-კი იშვითია ამ სოფელშიო.

⁂ სურამიდგან გვწერენ: თოთხმეტს აპრილს ხუთ საათზედ შემდეგი უბედურება მოხდა გომის რკინის გზის სადგურს ახლო: ხაშურიდამ სამი კაცი წასულიყო რკინის გზით გომისაკენ, სამთავენი მოხისლები ყოფილიყვნენ. ერთი მათგანი მოხუცებული თურმე იყო და ორი—ახალგაზდა. როგორც რომ მიახლოვდა მატარებელი გომის სადგურს, ორი ახალგაზდა ყმაწვილი გადმოხტა ვაგონიდამ. ეს რომ მოხუცებულმა დაინახა, იმანაც ახალგაზდობას მიჰბაძა და გადმოხტა, მაგრამ ფეხი საზარლად მოიტეხაო.

⁂ გაზ. „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ ახლად დანიშნული ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ზისერმანი მოვა დღეს, 19 აპრილსაო.

---

ძონძში ახვევს, ნასკვავს და „ავგაროზივით“ ინახავს. უმეტესს შემთხვევაში მოტყუებული რჩება—სახლში შეიტყობს ხოლმე, რომ ის ფასი ვერ აულია, რის აღებასაც აპირებდა.

ამ გვარი ხიფათი იმას განუყრელად თან დასდევს და მოსვენებას არ აძლევს. ეს ხიფათი ხომ თითონ იმაზე არაა დამოკიდებული: სულ ერთია, დღეს რომ თავი დააღწიოს, ხვალ მაინც წინ დახვდება. მაშ ერთი-ღა დარჩენია—თავისი უბედურება დავიწყებას მისცეს, ან არა და, როგორმე გაიქარწყლოს. მართლაც, ჯერ არ დაუსვენია და ეზოში გადის მისავლელ-მოსავლელად და დასათვალიერებლად; უნდა გაიგოს ყველაფერი რიგზეა თუ არა, საქონელს საჭმელი აქვს, ან გოჭი სუქნადა ჰყავს, თუ არა, რადგანაც იმასაც გასასყიდად ამზადებს; ურემს ღერძი ხომ არ გასცვეთია, ქოხს ბოძები ხომ არ დალპობია, ან თუ კიდევ საამედოა დედა-ბოძი, რომელზედაც მთელი ბანია დანდობილი? იღებს ნაჯახს, ჭუჭრუტანებს უცობს და ერთს რახარუხს ასტეხავს ვახშმობამდე. ერთის სიტყვით, თავსა ჰშველის.

რის შოვნაც უფულოდ შეიძლება, ჯერ იმას მოიმზადებს და მოიმარაგებს, და რის შოვნაც უფულოდ არ შეიძლება, ცდილობს, რომ იმაში ნაკლები დახარჯოს. ზაფხულობით სოფლის ღელე შრება; მაგრამ გაზაფხულზე პირამდი ივსება და შუილ-ხუილით მოდის, მახლობელის მდინარიდამ აქ თევზი ბლომად შემოდის. მზრუნველი მეოჯახე ამ მუქთის შემოსავლით სარგებლობს და ფაცერს ჰმართავს. თევზს ბლომად იჭერს და, რომლის დამარილებაც შეიძლება, ინახავს. შემდეგ მთელი ზაფხული იმითი მთელს ოჯახს ასაზრდოვებს. გამხმარი თევზი მაგარია და ძნელი გასაღეჭი, მაგრამ მაგიერად სარფაა—ნაკლები შეიჭმევა,—და გლეხს მეტიც არაფერი უნდა. ამისთანა გლეხზე იტყვიან: „კაი ცხოვრება აქვსო“. იმასთან მუშებიც სიხარულით მიდიან, იმიტომ-რომ „ცარიელს პურს“ არ აჭმევს მუშებს.

გაზაფხულზე აპუხტს იმზადებს, გაიგებს, რომ ამა-და-ამ გლეხს ძროხა შიმშილით უკვდებაო და «გარდასახადისთვის» აწუხებენო,—იშოვის ამხანაგად სამ-ოთხს თავისთანა მეოჯახე გლეხს და ხუთ-ექვს მანეთად მთელს ძროხას ხელში ჩაიგდებს. ამისთანა ძროხას რბილზე მეტი ძვალი აქვს; ხორცი ჩალასავითა აქვს,—ცარიელი ძარღვი და ხტილია, მაგრამ სამაგიეროდ ბარე თორმეტი ფუთი გამოვა,—ფუთი ბევრი-ბევრი ორი აბაზი დაუჯდებათ. აი, ამ გვარად მთელის ზაფხულისთვის ხორცი მომარაგებული აქვთ. სარდაფის უქონლობის გამო, დამარილებულს ხორცს მიწაში ინახვენ, მაგრამ ზაფხულში გახსნილებამდე სუნი აუვა; სამაგიეროდ ამისთანა ხორცი გულს უსუსტებს კაცს. გლეხკაცი სუნ-აღენილს ხორცსაც შესჭამს, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იმდენს ვერა, რამდენსაც ახალს. მაშ, ესეც სარგებლობაა.

თავი და ბოლო ისაა, რომ ძალღონე შეინახოს ზაფხულში სამუშაოდ. ამისათვის საკმაოა ზომიერად სჭამოს და მუცლის ამოყორვა საჭირო არ არის. შიმშილი რითიც უნდა დაიპუროს, სულ ერთია.

გლეხი მთელი ზაფხული მუშაობაშია. ზარმაცი და ხელით-უყარი გლეხიც-კი არა შორდება თავის მამულს და ოჯახის-შვილი თითქმის ზედ აკვდება, ასე გასინჯეთ ძილი არც-კი აქვს; გვიანა წვება, რიჟრაჟზე დგება (დილასაღამოს უფრო მარდად მუშაობს) და სამუშაოდ მიდის. მუდამ ის აწუხებს, რომ „პური არსობისა“ არ შემოაკლდეს. მემამულეს სანახევროდ ცარიელი ადგილი სთხოვა, სთიბავს შუა შემოდგომამდე და მუშაობაში ჯანს იგდებინებს. ცოლიც და მოზდილი ბავშვებიც კატორგაზე უარეს მდგომარეობაში არიან; წვრილ-ფეხიც, შეძლებისდა გვარად იღებს მონაწილეობას ამ ჯაფაში. სამაგიეროდ ის ახარებს, რომ მოწეული პური ყველიერამდე ეყოფა. მაგრამ თივა სამყოფადა აქვს: საქონელსაც გამოუკვებავს და გასასყიდადაც დარჩება. თივაა მისი იმედი, პურის სათესი ადგილი პატარა აქვს და პური ცოტა მოდის; თივა უფასოდ შეუძლიან იშოვოს, ე. ი. თუ თავის ძალ-ღონეს არ დაზოგავს, მაგრამ მარტო პირადის შრომით ვერას გახდება—„ნადიც“ უნდა იშოვოს. საზოგადოდ «ნადის» უქმეღღეობით შოულობს და ესეც ერთი სარგებლობაა, უბრალოსა და უქმს ხარჯს გადარჩება. ყველამ იცის, რომ იმას დამარილებული თევზიცა აქვს და ხორციც; ამისთვის ყველა მასთან სიხარულით მიდის. სიმღერით და სიამოვნებით მუშაობენ; თიბვაში თავად პირველია. თუმცა სამუშაოდამ ადრე ბრუნდებიან, მაგრამ ერთად უფრო ბევრს მუშაობენ; „ნადის“ გამასპინძლებაში უფრო ნაკლები წაუვა, ვიდრე დღიურის მუშის ქირაობაში. თითონაც მოლხენით არის, ასე გულმოდგინედ რომ მუშაობენ მისთვის. ეს წამი, ვგონებთ, ერთი იმ წამთაგანია, როცა იმას გული დამშვიდებული აქვს.

ზაფხული თავდება და მის გაჯახირებულ მდგომარეობას ბოლო ეღება; მაგრამ სახე-კი მეტად გამხდარი აქვს. პირის კანში ისეთ ნაირად ჩაჰკვდომია მტვერი, რომ კაცს ეგონება, ტალახით შემურულაო; მისი შინაურებიც ძლივს დალასლასებენ. წვალებას გადარჩნენ; შემოდგომის პური დათესილი აქვთ, ძნები ზვინად დაუდგამთ და თივა მოუთიბავთ. დგება შემოდგომა ხან დარიანი, ხან ავდრიანი. შემოდგომაზედაც ბევრი საწვალებელი აქვთ. მაგრამ, უმეტესს ნაწილად, ფარდულებში მუშაობენ, ან სახლის გვერდზე, ან კალოზე, ან ბოსტანში. მოისმის კევრის შრიალი; ბოსტნეულის მცენარის სუნით არის შეზავებული პური, მაგრამ ოჯახის გლეხი ცას მისჩერებია და ტაროსის გამოცნობა უნდა, იმიტომ-რომ დარიანი შემოდგომა მავნებელია და ავდრიანი უარესი. ყველას სჯობია, თუ რომ ტაროსი იცვლება,—მაშინ მისი გული გაზაფხულამდე მოსვენებულია. ის მინდორში დაიარება და ახლად ამოსულს პურს დაჰხარის. მაგრამ ერთი აზრი ახლაც აწუხებს: ვაი თუ გაზაფხულმა მიღალატოსო! მართლაც, თუ დადგა გვალვიანი გაზაფხული, ან თუ წვიმამ მოუხშირა,—დაბლობში ისე ჩაალპობს, რომ სათესლე მარცვალსაც ვერ დაიბრუნებს; ან და დაბლობში კარგად მოვა, მაგრამ მაღლობზე ერთიანად გახმება!—ახლა გულს ეს ულონებს.

მაგრამ გაზაფხული ჯერ შორს არის: თავი ბევრჯელ დაუღწევია და ახლაც გადარჩება. ოჯახის შვილს კიდეც იმისთვის ეძახიან, რომ, თუ პურმა ულალატა, სიმინდი მოუვა; თუ სულ არაფერი მოუვიდა, შვილს სამუშაოდ გაჰგზავნის, თითონ ჩარვადლად წავა, ან ქალაქში შეშის ჭრას დაიწყებს. გაუჭირველად არ იქნება და გლეხი რის გლეხია, თუ გაჭირებასაც არ გამოსცდის.

საზამთროდ ყველაფერს შემოდგომაზე მოიმარაგებს. უფროსი შვილები მთელი დღე ტყეში არიან და საზამთროდ შეშასა სჭრიან; ან კალოზე ლეწვენ, ან ცხენის მოსართავს ჰკერვენ. თუ კი თავისუფალი დრო გადარჩა, საქმეს იშოვის: კალათას დასწნავს, ბაწარს ჰგრეხს, ან დალალობს. ქალები საზამთრო ხორაგს ამზადებენ: ლობიოს და ბადრიჯანს ახმობენ; კიტრის წნილსა სდებენ და დღესასწაულებისათვის პირის ჩასამტკბარურებელს ამზადებენ; შალს ჰქსოვენ, რომლითაც მთელი ოჯახი უნდა შემოსონ. როცა დაღამდება, ნავთის ჭრაქს დაანთე-

*** „Русск. Кур.“-ი გვატყობინებს, რომ კავკასიის დეპუტაციის თხოვნისამებრ უწმინდესს სინოდს უთხოვნია გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის, რომ ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს და ათონის ივერიის მონასტერი, რომელიც ბერძენთ ბერებმა ჩაიგდეს ხელში, დაუბრუნდეს საქართველოს ეპარქიას. უცხო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს უკვე დაუწყია მოლაპარაკება რუსეთის სტამბოლელს ელჩთან იმის თაობაზედ, რომ ეს მონასტერი დაუბრუნდეს კუთვნილებისამებრ საქართველოსაო.

*** დიდი-ხანია ბ-მა მურიემ დააპირა დაარსება ტფილისში ახალის გაზეთისა ფრანგულსა და რუსულს ენაზე. გაზ. „კავკასის“ რედაქციას ახლა მიუღია განცხადება ახალის რედაქციისა. გაზეთს საგნად ექნება გააცნოს ევროპის ვაჭრები და მრეწველნი კავკასიის ნაწარმოებს და მის ბუნებრივს სიმდიდრეს. გაზეთის სახელია „Revue Commerciale et industrielle du Caucase“, და დაიბეჭდება თთვეში ორჯელ, ყოველ თთვის 1 და 15 რიცხვსა. რედაქცია იქნება ტფილისში. გაზეთი ეღირება ქალაქის ხელის-მომწერთათვის 4 მან., სხვა კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში გაგზავნით 5 მან. და სამზღვარ-გარედ—6 მან.

*** სოხუმის ოლქაში, როგორც ატყობინებს იქაური ექიმი კოვალსკი კავკასიის საექიმო საზოგადოებას, აღმოჩენილა ოთხ-გვარი მადნეული წყალი. ეს წყლები უპოვნია თვითონ ბ-ნ კოვალსკის წებელდაში. ერთი რკინა-ნარევია, მეორე ნახშირ-მჟავე, მესამე მწკლარტე და მლაშე და მეოთხე გოგირდ-ნარევი. ნახშირ-მჟავის წყალი ნამდვილ ნარზანსა ჰგავსო, იმისავით ჩუხჩუხით ამოდის და ბოთლსა ხეთქავსო; ამ წყალს მშვენიერი გემო აქვსო. ეს წყაროები მაღლობსა და მშვენიერს ადგილებზეა და არ დაუვარდებიან პიატიგორსკის წყლებსაო. მშვენიერი ჰაერი ამ ადგილისა ძრიელ სასარგებლო იქნება ჭლექიანთათვისაო. ბ-ნის კოვალსკის ფრიად საჭიროდ მიაჩნია, რომ კარგად შეისწავლონ მეცნიერთა ამ წყაროების სხვა-და-სხვა თვისებანი. („Нов. Обоз.“)

### სია შემწირველთა

წითასა და ფონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლ-შვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | |
|---|---|
| არხიმანდრიტის მაკარისაგან | 3 მან. |
| წინად იყო . . . . . | 76—20 |
| სულ . . | 79—20 |

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ თქვენ შორის გამოვიდა მცოდნე მხნე კაცი და გეუბნებათ: ამ-და-ამ ადგილს, ამა-და-ამ ქალაქში მინდა გავმართო ქარხანა, ორთქლით მომუშავე წისქვილი, ან, ერთის სიტყვით, ისეთი რამ, რასაც ქვეყნისთვის მნიშვნელობა აქვს, რაც მთელს მხარეს სარგებლობას მოუტანს. მგონი ყველა მოიწონებდა ამ კაცის აზრსა და ეტყოდნენ: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ოღონდ კი საქმე ისე მოაწყე, რომ არც მწვადი დასწვო და არც შამფური, შენთვისაც ხეირი ჰნახო და სხვასაც სარგებლობა მოუტანო. ვამბობთ, ამას იტყოდა ყოველი გეთილ-გონიერი კაციო.

წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ასეთი ამბავი ყოფილა რუსეთის ერთს ქალაქს, ეღისავეტოგრადში. ერთს კაცს განუზრახავს ორთქლით მომუშავე წისქვილის აშენება, ამოურჩევია ადგილი და თხოვნა შეუტანია ქალაქის საბჭოში, რომ ნება მომეცით ეს წისქვილი ავაშენოვო. მერე, როგორ გგონიათ, რა უთქვამთ ქალაქის წარმომადგენელებსა? ამათი პასუხი და მსჯელობა ისეთი საგანგებო რამ გახლავთ, რომ უთუოდ დაწვრილებით უნდა მოვიყვანოთ.

გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი ასე მოგვითხრობს:

ხმოს. კოსტინი. ბატონებო, დღეს ერთი მოიწადინებს წისქვილის აშენებას, ხვალ მეორე კიდევ სხვა რაიმე ქარხნის აშენებასა,—ყველას რომ ნება მივცეთ, სად წავა. ჩვენი ქალაქი სულ ქარხნებით გაივსება, გაიბოლება, გაიმჭვარტლება. რას ეგვანება ჩვენი სახლები? არა, ამეების ნებას ვერ მივცემთ.

ხმოს. როზენშტეინი. რას ბრძანებთ, ბატონო? ღმერთმა ქმნას, რომ ბლომად შემოსულიყოს ამისთანა თხოვნა ჩვენს გამგეობაში. სადაც ბლომად არის სხვა-და-სხვა ქარხნები, სიცოცხლეც იქ არის, სიმდიდრეცა. ჩვენ უნდა ხელი მოვუმართოთ ამ გვარს სასარგებლო საქმესა.

ხმოსნები ერთად. თქვენ იმიტომ ბძანებთ მაგასა, რომ არა ჰყოფილხართ იქა, სადაც ბევრი ქარხნებია.

მესამე ხმოსანი. ბატონებო, იმაზედ ლაპარაკი, კარგია თუ არა ქარხნები, ჩვენი საქმე არ არის: ჩვენ მხოლოდ ის უნდა განვიხილოთ,—გვაქვს ქალაქში ადგილი წისქვილის ასაშენებლად, თუ არა.

ხმოს. კოსტინი. უკაცრავად, ბოლსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აგერ ერთი რაღაც ქარხანაა, იმდენი ბოლი ამოდის, რომ ეკკლესიის კანკელი სრულიად შემიმჭვარტლა.

ხმოსანი კოსტინი თურმე ერთის ეკკლესიის მნათე-მზრუნველადაც იყო.

ერთი ხმოსანი. თქვენ რომ კანდლებში ნამდვილს ზეთს ასხავდეთ, ეკკლესიის კანკელი არ შემჭვარტლებოდა.

ხმოსანი ლელიუკი. არა, ნებას ვერ მივცემთ წისქვილის აშენებისას. ისეც მთელი ქალაქი ბოლშია ამორჩობილი. ბოლისაგან ხალხი ბუზებივით იხოცება. რა არის ბოლი? ნახშირის სუნი, რომელიც კაცზე საწამლავივით მოქმედებს და ჰკლავს. დადგება თუ არა სადმე ბოლი,—სუნთქვა, სულის მობრუნება აღარ შეგვიძლიან. არ შეგვიძლიან, ბატონებო, ისეთი რამ მოვიგონოთ, რომ უბოლოდ იწოდ ეს?

გვგონია, რომ ამ ხმოსანს ყველაზე ჭკვიანი აზრი წარმოუთქვამს. დიახ, გაცილებით ემჯობინება, რომ ეღისავეტოგრადის ხმოსნები იმის გამოკვლევას შეუდგნენ, რა იწვის უბოლოდ, ვიდრე ქალაქის საქმეებს განაგებდნენ.

***

ბერლინში ომის საქმე გაჩარხული ყოფილა. თურმე ნუ იტყვით, ყველაფერი მზად არის, ისე რომ ჯარების სარდლებიც კი დაუნიშნიათ. ასე გვარწმუნებს გაზეთი „Свѣтъ“-ი:

თუ ვინიცობაა, საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი ასტყდაო,—გვაუწყებს გაზეთი, მთავარ-სარდლად გერმანიის ტახტის მემკვიდრე იქნება დანიშნულიო, შტაბის უფროსად—გრაფი ვალდერზეე. თუ საფრანგეთს სხვა სახელმწიფო ვინმე მოემხრობა, ამისთვისაც გერმანია მზადა ყოფილა: მთავარ-სარდლად ამ მხარეს იქნება საქსონის მეფე, შტაბის უფროსად—გენერალი ბლუმენტალი.

მოლტკე, გამოჩენილი მოლტკე სადღაა? «შტატ» გარედ ხომ არ დარჩენილა? გვიკვირს, გაზეთს ეს რატომ აღარ შეუტყვია!

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

გაისმა ხმა ზართა რეკისა, შეიძრა ხალხი, ფეხზე წამოდგა დიდი და პატარა, შეიმოსა, შეიკაზმა და მიეცა სულიერს განსვენებას; საერთო მხიარულებას სამზღვარი არა აქვს; ერი ლხინობს, დარბაზობს, მხიარულებს, სახე გაღიმებული მრავალ-ჟამიერ გაიძახის: „აღსდგა!“ აღსდგა დაცემული, გვემული და ტანჯული ბოროტ-მოქმედთაგან! ოჰ, ღმერთო... მაგრამ...

უკაცრავად, უკაცრავად და მრავალ ჟამიერ უკაცრავად! ფანტაზიამ გაგვიტაცა, გაგვიტყუილა! ჩვეულებისამებრ, კალამი ავიღეთ ხელში, რომ მკითხველთათვის გვეუწყებინა რამ ახალი ამბავი, გვებაასნა მასთან და აკი... აი დაჰლახროს ღმერთმა!.. თურმე დიდი უსამართლობა ჩაგვიდენია ჩვენს წარსულს მატიანეში. იმიტომ არის ნათქვამი და: გამოცდილება სჯობია კაცს სიბერის კარამდინაო! თურმე ფანტაზია ისეთი მაცდური რამ ყოფილა, რომ თუ ერთი შეგისვა თავის ფირფიტა ფრთებზედ... წადი და წადი, ნუღარ მოიხედავ უკან! ოჵ, ღირიკაგ, ღირიკაგ, რად დაიბადე!..

***

— სხვა რა ამბავია ახალი, რა უნდა გეთქვა?!

— არაფერი, ბატონო, მარტო ის, რომ „აღსდგა და აღემართა ცად მიმართ, რათა საუკუნოდ განშორებოდა ადგილსა მას ურიასტანისასა“... მაცხოვარის ამაღლებასთან ერთად ძირს დაემხნენ ურიანი და მათ გარდა ჩვენი ნაცნობი და უდღეოდ დაბადებული ქალაქსა მას ტფილისსა შინა „კავკასიის მიმოხილვა“-ც!

— რა მოუვიდა?

— აჲი თვალი, ბატონო, თვარა რა უჭირდა! მტრის წყევლა-კრულვამ დაავადა და კოჭები დაუსივა, ვეღარც დადის და ვეღარც ალაგიდგან იძვრის საცოდავი. კაი ნუ მისცეს ღმერთმა

---

ბენ, რადგან ყველა სანათზე უფრო იაფად ჯდება, და ყველა საქმეს ჰკიდებს ხელს: გლეხი ქალამნებს იხამს, ან ძველებს იკერებს; ბებერი დედა-კაცი წინდებსა და პაიჭებს ჰქსოვს; ახალგაზდა ქალები ართვენ. ოჯახი დალოცვილს შრომას თავს არ ანებებს; ეს შრომა „კატორგად“ კი არ მიაჩნია, ცხოვრების წყაროდა სთვლის. ცოტა გვიან ვახშმობენ და იძინებენ; დილაზე გვიან დგებიან. „კატორღა“ მხოლოდ დროებით შეჩერდება ხოლმე.

ღამე ქოხში ჯოჯოხეთის სუნია. მთელი ოჯახი ერთს ოთახში მოგროვილა და ტახტებზე ერთი ბეწვა ადგილიც აღარაა. ამ შრომით დაღლილების კვნესა და კრუსუნი ცამდის ადის. გლეხს დარბაზიცა აქვს, მაგრამ ის სასტუმროა და შიგ ცეცხლს არ დაანთებს (შეშა დაიწვის); იქ არც ზაფხულობით სცხოვრებენ; იმას მხოლოდ დიდს დღესასწაულებში გააღებს. ღამე ცეცხლი წაფლულია; დილაზე ნაცარს გადაჰქექს ვინმე და ცეცხლს აანთებს; დადგება ისეთი კვამლი, რომ ყველას თვალებსა სწვავს და ერთმანერთს ვეღარა სცნობენ. წამ-და-უწუმ კარს აღებენ, საიდამაც ტყვიასავით ცივი ჰაერი შემორბის; შეიქნება ქოხში ხველება და ცხვირის ცემინება. ეს კვამლი და ხმაურობა ყველას ძილს უფრთხობს. ყველანი დარეტიანებული დგებიან ლოგინიდამ, კარზე გარბიან და ცივ წყალს ისხმენ პირზე. სამაგიეროდ, ორის საათის შემდეგ, სადილობის დრო რომ მოვა, ოთახში სითბოცაა და სინათლეც. მაშინ იძახიან: „ამანოსავითაა აქაურობაო“.

მხოლოდ შობის ხსნილში ცხოვრება უკეთესდება. ახალგაზდები ისვენებენ; მოხუცნიც უფრო თავისუფლად არიან, მაგრამ ოჯახის შვილიკი ერთს წამსაც არ დაჰკარგავს ტყუილად. რომ დაბინდდება, სოფლის ქუჩა ახალგაზდებით სავსეა. ახალგაზდა ბიჭები და გოგოები თოვლა-გუნდას თამაშობენ. გააქვთ ერთი ჟივილ-ხივილი. დაღალულ-დაყინულები მორიგ ქოხში შეგროვდებიან, თამაშობენ და მღერიან მამლის ყივილამდე. აქ საცოლოები საცოლოს ირჩევენ და შუამავლობა იმართება; სიყვარული იღვიძებს და ღვივის.

ამ დროს ოჯახის-შვილი გლეხ-კაცი უმეტესს ნაწილად ვაჟს აქორწილებს. ამის დასაბინავებლად დიდი სამზადისი საჭირო არ არის. ვაჟი-შვილს ქალი მოჰყავს შინ და სახლის საქმე უწინდელებრ მიმდინარეობს; მხოლოდ ოჯახს ერთი მშრომელი ემატება. სარძლოს გასინჯვა, მზითევზე მოლაპარაკება, ქორწილის ხარჯის გამოანგარიშება და საქორწილო ფულის გარდახდა მშობლების საქმეა. მაგრამ ქალი-შვილის გასათხოვებლად დიდხანს ემზადებიან ნელ-ნელა, რომ ხარჯი ოჯახისათვის საგრძნობელი და გასაჭირი არ იყოს. ქალს თავისი სკივრი აქვს, რომელშიაც თავის მზითევს აგროვებს. იმას ყოველ წელიწადს აძლევენ ერთს კვალს მიწას და დასათესად ერთს პეშვს ბამბის კურკას; ამ ბამბას მოიყვანს, დაართავს და რასმე მოჰქსოვს. ამ თავის ნახელავს ნაყიდ ნივთებთან ერთად შეინახავს თავის სკივრში.

გათხოვების დრო რომ მოუვა—მზითევი მზადა აქვს, მხოლოდ ერთი ძროხა, ან ხბო უნდა იშოვოს. ეს ქონებაზე ჰკიდია. თუ გლეხმა ასე ნელ-ნელა არ მოამზადა ქალის მზითევი, უბედურია, დიდს გაჭირვებას იგრძნობს ოჯახი. თუ ასე მოიქცა-კი, არაფერი უშავს. მისცა საყვარელი შვილი სხვა კაცს, ქორწილი გადიხადა, როგორც წესია და მეტი არაფერი.

ზემოდ ვსთქვი, რომ ოჯახის გლეხი ქორწილს ჰმართავს, აბინავებს უმეტესად შობის ხსნილში. ამ საქმეში ის გვერის სიბრძნით ხელ-მძღვანელობს და მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ოჯახის წყობილებაში ზარალი არ მიეცემა. ამ დროს მოყვანილი სარძლო, ანგარიშით, შემოდგომაზე დაწვება ლოგინად; მაშ, შრომა მარტო ამ ზაფხულში კი არა, მომავალს ზაფხულშიაც შეუძლიან, იმიტომ-რომ შემოდგომაზედ დაბადებული ბავშვი მანამდი ცოტათი წამოიზდება და დედას მუშაობას არ მოაცდენს. გაზაფხულზე რძლის მოყვანა ვერაფერი ანგარიშია, იმიტომ რომ მომავალს ზაფხულში ბავშვი ერთობ პატარა იქნება და დედას მუშაობას არ დააცლის.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ოჯახის შვილი გლეხ-კაცი ცხოვრების წყობილებას გარდა, არაფერზე არა ჰფიქრობს. ამის გულისთვის ის თავსაც და ოჯახსაც „კატორგაში“ აგდებს, ამის გულისთვის ის ყოველ გაჭირვებას ითმენს. ეს აზრი იმას ცოლშვილის სიყვარულს უკარგავს. ამ ფიქრზეა გადაყოლილი. მის შორის არ სუფევს იმ გვარი სიყვარული, რომ ცოლის და შვილების პატიოსნებისათვის თავი გადასდოს. მთელი ოჯახი თავის ნებაზე ჰყავს; ცოლ-შვილი ყოველის უარის უთქმელად ემორჩილება, მაგრამ ეს მორჩილება სიყვარულით-კი არ წარმოსდგება, არამედ მონურის პირ-მოთნეობით.

ბოლოს ჩავარდა კეთილს დღეში, დარბაზი კარგი დაიდგა და მოწყობილიც კარგადა აქვს. ხორაგი სამყოფი აქვს, საქონელი ბლომადა ჰყავს: შვილები რიგიანები გამოადგა. ოჯახში მშვიდობა და თანხმობა სუფევს; გაჭირების დღისათვის ფულიცა აქვს გადადებული. ამ მდგომარეობიდამ „ქვეყნის-მყვლეფელობამდე“ დიდი მანძილი აღარ არის, მაგრამ სისხლის მწოველობა იმას არ შეუძლიან: იმას ვერც დუქანი და ვერც სამიკიტნო ვერ იზიდავს. დაუღალავის შრომით და მომავალზე დაუღალავის ფიქრით იმან ამ სიკეთემდე მიაღწია და ესეც ეყოფა. უწინდელებრ ხელ-მოჭერით სცხოვრებს, უწინდელებრ გამხმარს პურსა სჭამს და არა ახალს, უწინდელებრ ახალს საკლავს ფთხილად ეპყრობა. სხვა ნაირად რომ მოიქცეს, ის აღარ იქნება, რაც არის.

მაგრამ კეთილს ცხოვრებას სიბერე თან მოსდევს. თან-და-თან ძალა ელევა; ორმოცის ვერსის მანძილზე ურემს ვეღარ მისდევს და მძიმე მუშაობის ატანა აღარ შეუძლიან. მთელი მისი არსება სიბერის უძლურებითაა მოცული; დიდხანს თავს ძალას ატანს, მაგრამ, ბოლოს, უძლურება ერევა, და ისვენებს.

ცხოვრების სარბიელზე მის ნაცვლად მისი უფროსი შვილი გამოდის. თუ ეს უფროსი რიგიანი გამოვიდა, მას მთელი ოჯახი ემორჩილება, მამის სიცოცხლეში მაინც, და წინააღმდეგობას არავინ უწევს, მაგრამ განცალკევების სურვილიც ხანდისხან თავსიჩენს. ხოლმე უმცროსი შვილები მალვენ, თუ რამე იშოვეს და ოჯახს არ ახმარებენ. რძლების შორის ჩამოვარდება „შული“, რომელშიაც ქმრებიც მონაწილეობას იღებენ.

— მოვკვდები და ოჯახი დაიქცევა!—ჰფიქრობს მოხუცი და გული ულონდება.

ბოლოს ამ სოფელს ესალმება; თავდება მშვიდად, წყნარად, პატიოსნად და თითქმის უცოდველად. კუბოს მიჰყვებიან: ცოლი, შვილები, შვილისშვილები და რძლები. შემდეგ ალაპს მართვენ, რომელზედაც მთელი სოფელია მიწვეული. ყველა კეთილად იხსენიებს მიცვალებულს: „პატიოსანი გამრჯელი და ნამდვილი ქრისტიანი იყოვო“.

მართლაც პატიოსანი და ჭკვიანი გლეხ-კაცი იყო; იმან თავის სურვილს მიაღწია: ოჯახი „კაი დღეში“ ჩააგდო. მაგრამ მითხარით: რა მხრით უნდა განვიხილოთ ეს ჭკვიანი გლეხი? როგორ უნდა დავარწმუნოთ ის, რომ «არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი?»

სტ. ხოჯივანიშვილი

ქ. ქუთაისი

«ახალს მიმოხილვა»-ს. ერთის დაბადება და მეორის წყევლა ერთი იყო, ბატონო, მზის შუქი არ დაანახვა იმ წყეულ-შეჩვენებულმა! იმანაც, ბატონო, ველარ აიტანა, იავადა, იავადა და ლოგინად ჩავარდა! მტერი ამაზედ სიხარულით ხტოდა და არ იცოდა რა ექმნა; მოხუცებული „კავკასი“-ც ქვეშ-ქვეშა ხითხითებდა, მაგრამ უცბად ავადმყოფმა მათდა საუბედუროდ კუდი მოიქნია...

— როგორ?

— ასე, ბატონო, რომ თურმე მისი აღდგომა თორმეტს აპრილს ყოფილიყო და არა ხუთს, როგორც ჩვენი გახლავსთ. თორმეტში, ბატონო, ბობღვით წამოდგა ავადმყოფი და მზეზედ გამოჩოჩდა, არ ვიცით-კი რისათვის....

* * *

აღდგომის შემდეგვე დაასრულა თავისი ლექცია „ვეფხვის ტყაოსანზე“ ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა-მელექსემ აკაკიმ. მესამე ლექციაში გრძელი და მსხვილი ქება-დიდება შეასხა ქალებს, მოიხსენია ნესტან-დარეჯანი და თინათინი; სთქვა, რომ ნესტან-დარეჯანისა და თინათინისთანა ქალების გამოჩენა საკვირველი არ არის მეთორმეტე საუკუნეში, რადგან ნიადაგი მომზადებული იყოვო; ამათი დედები არ ჩამოუვარდებოდნენ თავის ქალებსაო; ქალებს ჩვენს ისტორიაში დიდი ადგილი სჭერიათ ყოველთვის და დიდი ღვაძლიც მიუძღვისთ თავის სამშობლოს მიმართო; ჩვენი ქალები ბევრს სამსახურს გაუწევენ საქართველოს, დიდს ღვაძლს დასდებენო!.. ერთის სიტყვით, ჩვენს ქალებს ნამდვილი აღდგომა გაუთენდათ, ხოლო თორმეტს-კი არა, როგორც ბ-ნის ფრენკელის გაზეთს, არამედ თერთმეტს აპრილს, აღდგომის მეექვსე დღეს.

ჩემის აზრით, აკაკიმ თუმცა კარგად აგვიხსნა, რომ საკვირველი არ არის ნესტან-დარეჯანისა და თინათინისთანა ქალების არსებობა მეთორმეტე საუკუნეში, რადგან არც მათი დედები ჩამოუვარდებოდნენ იმათაო, მაინც უფრო უკეთესს იზამდა ჩვენი პატივცემული პოეტი, რომ სამის მაგიერ შვიდი ლექცია წაეკითხა ეხლანდელს ქალებზედ. ეთქვა, „ტიურნიურსა“ და „კორსეტებსაც“, რომელთაც ასე გატაცებით ემონებიან ეხლანდელი ქალები, ექმნებათ რაიმე მონაწილეობა იმ საქვეყნო საქმეში, სამშობლოსათვის სამსახურში, რომელიც ჩვენმა ქალებმა უნდა გაუწიონ თავის ქვეყანას, თუ არა? სტატისტიკურის ცნობებით დაემტკიცებინა, — «ტიურნიურ-კორსეტთა» პროგრესი უფრო ძლიერია ჩვენთა ქალთა შორის, თუ იმავ ქალების პროგრესი განათლებისა და სწავლის გზაზედ. ვგონებთ, რომ ყველა ზემოხსენებული უფრო საინტერესო და ყურად-საღები იქმნებოდა და თუ ეხლა ჩვენის ნიჭიერის პოეტის ლექციებს ცოტა ხალხი ესწრობოდა, მაშინ მგონი მთელი ტფილისი მოხვეტილიყო და ბანკის თეატრს მისწყდომოდა.

* * *

თუმცა მართალია უკულმართად გაუთენდათ აღდგომა ბ-ნის ფრ—ის გაზეთსაც და აკაკის მიერ ქება-შესხმულ ქალებსაც, მაგრამ იმისთანა უკულმართობა-კი არც ერთს მოსვლია და არც მეორეებს, როგორიც ქართულ საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთს „თეატრს“ მოუვიდა. ამ ჯამბაზების მეთაურმა ჰაერში მალაყის გადასვლა მოინდომა, მაგრამ ისე უხერხულად და უხამსად-კი გადიმალაყა, რომ თორმეტს აპრილს, როცა აღდგომა გასულიც იყო და წითელი კვერცხი და პასექიც შეჭმული, წითელის პარასკევის მოყვანა განიზრახა და დაიწყო ერთი აურზაური: ჯვარზე აცვით, გოლგოთაზე, გოლგოთაზე ქართულის თეატრის პატრონები, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკიო, თორემ ნათქვამებისამებრ მისისა: უპატრონო სახლს ეშმაკები დაეპატრონნენო.

წარმოიდგინეთ, ბატონებო, ჩვენი უბედურება და ვაი-უშველებელი, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი მართლა რომ გოლგოთაზე წაეყვანათ ეკლის გვირგვინით და ჯვარზე ეცვათ. ჯვარზე ცმევას ვილა სჩივის, მერე წამოდგებოდა-ღა-კი ეს მრავლისაგან მრავალ ტანჯული და წამებული ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი და აღემართებოდა ცად, რომ სამუდამოდ და საუკუნოდ განშორებოდა და თვალთაგან მიჰფარებოდა შეუბრალებელსა და შეუწყალებელს „თეატრის“ კლიტიკოსებს?!

მერე განა და რა ისეთი მომაკვდინებელი და კუპრში დასაწველი ცოდვა ჩაიდინა ამ ბანკმა, რომ ჯვარზე ცმევას უქადის „თეატრი“ სასჯელად. აი ბრალ-მდებელი ოქმი:

> .... არც არწრუნისეულის თეატრის პატრონები ჩამოუვარდნენ მათ (დრამატიულის დასის პატრონებს). გამოაცხადეს: ჩვენ ფულის მოგება გვინდა, ეხლა „სობრანიები“ მოახლოვდა და აბა რა დახლი უნდა ვაჩვენოთ, თუ თეატრის ქირით მაინც არ აუხვიეთ თვალებიო; სწორედ აი ამისთვის ისე გაუხდით საქმეს ქართულ (არწრუნისეული) თეატრის სახელსაო, რომ ეს სახელი იყოს (თუმცა ეს ეხლაც ესე არისო) სინონიმი ბრბოსი, შედგენილისა ბიჭ-ბუჭებისაგან, (ამას ამტკიცებს ალ—ლის ჯიბიდგან გადასული 65 მან. ჯიბესა შინა არტისტისასა ბ. ბ. სუფლიორი გალუსტოვის, რაზსილნი თამაზოვის, პრიკაშჩიკი საფაროვის და კომპ. ტრუპისა) და ბაზაზხანის შეგირდებიდგანაო.... ბანკმა სთქვა და შეუდგა კიდეც ამ საქმის განხორციელებას.

ამის შემდეგ ბრალ-მდებელს ოქმში სხვა-და-სხვა გამამტყუნებელი საბუთებია ბანკისა მოყვანილი: რად აქირავე თეატრი ჯერ „რაზსილნი“ თამაზოვს, მერე სუფლიორს გალუსტოვსაო; ეხლა რად განგიზრახავს (გულთ-მისნობაცა ჰქონია ყველა სხვა კაი თვისებებთან „თეატრის“ რედაქციას), რომ თეატრი აქირავო „უბორნიების“ დამგველს ბატონს ჰაჯიასაო და სხვა-და-სხვაო, ბრძანებს ბ-ნი კლიტიკოსი და მეცნიელიკოსი კიკვილია „თლიათლი“-ს ფურცლებზედ.

მოდი და მართლაც ჯვარზე ნუ აცვამთ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს! გოლგოთაზე, არა გოლგოთაზე-კი არა, მახათაზე, ბ-ნო კიკვილია, მახათაზე ვაცვათ ჯვარს, რადგან უფრო ახლოა, თორემ გოლგოთას ძებნას რომ მოუყვეთ, ძალიან შორს წაგვიყვანს.

თავის იმდენს გამამტყუნებელ საბუთებთან, ბ-ნს კიკვილიას არ მიუხედნია იმ ერთის ყველასათვის აშკარა და თვალ-საჩინო საბუთისათვის, გარდა «თეატრი»-ს რედაქციისა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი საკომერციო დაწესებულებაა და არ შეუძლიან, რომ „რაზსილნი“ თამაზოვს, სუფლიორს გალუსტოვს და „უბორნიების“ დამგველს ჰაჯიას ჯერ სასცენო ხელოვნების ლექციები წაუკითხოს და თვეიანთ ხუთის თითიეით გააზეპირებინოს, მერე ნიჭი შთაუნერგოს მადლითა მით ზეგარდმოითა და ყველა ამის შემდეგ მისცეს და აქირაოს თეატრი; ანუ ეგზამენები გაუკეთოს, ვინ არის მცოდნე თეატრის საქმისა და ვინ არაო.

მაგრამ აგრეთი კანონიც რომ გამომტყვრალიყო და გაბატონებულიყო საიდგანმე: თეატრის შენობის პატრონია თავ-მდები და პასუხის-მგებელი საზოგადოების წინაშე, რომ ყველა ის ჯამბაზნი და არა-ჯამბაზნი, რომელნიც-კი ამ თეატრში წარმოდგენას გაჰმართავენ, კარგად წარმოადგენენო და საზოგადოებას თავს მოაწონებენო, მაშინ კიკვილიასთანა პუბლიცისტებს ჯერ სასწავლებელში გაჰგზავნიდნენ და ჩვენის პატივცემულის პედაგოგის გოგებაშვილის „დედა-ენა“-ს შეასწავლიდნენ და მერე ისე მისცემდნენ „თეატრის“ ფურცლებზე ნებას ბლაჭნისას.

მართლაც რომ, კიკვილიასივე არ იყოს, უპატრონო სახლს ჩვენდა ვაი და ვაგლახად ეშმაკები დაჰპატრონებიან!

* * *

რადგან თეატრსა და არტისტებზე ჩამოვაგდე ბაასი და ლაპარაკი, ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა გავუზიარო ჩემს მკითხველებს, თუმცა ამ ამბავს ზემოხსენებულ ყბად-ასაღებ— წყალ-წასაღებ ამბებთან ადგილი არა აქვს.

ჩვენს თეატრს „პრიკაშჩიკ-სუფლიორ-უბორნიების“ დამგველ ჰაჯიას გარდა, ჰყავს თავისი ჭეშმარიტნი მსახურნიც, მოღვაწენი, რომელთა მეოხებითაც ქართულს თეატრს საძირკველი ჩაჰყრია და აღორძინებულა. ამ ჭეშმარიტ მსახურთა და მოღვაწეთა რიცხვი თუმცა მეტად მცირეა, მაგრამ ამით უფრო საქებურნი და უფრო სადიდებელნი არიან ისინი, რადგან ამ ცოტას დიდი საქმე გაუკეთებიათ, თითქმის ქართული თეატრი დაუარსებიათ. ამათში შეგვიძლიან შემდეგი არტისტები და არტისტი-ქალები მოვიხსენიოთ, რომელნიც შრომისა და ჯაფის გაწევის გარდა მაღალის ნიჭითაც არიან შემკულნი და ამ ნიჭს, რასაკვირველია, მათი ნაჯაფ-ნაშრომისათვის ერთი ათად უფრო დიდი ფასი დაუდვია და უფრო გაუძლიერებია. ესენი არიან: ქ-ნი გაბუნია, საფაროვისა ქალებში და კაცებში ბ-ნი ყიფიანი, აბაშიძე, მესხი; ესენი არიან ის რჩეულნი, რომელნიც ამ რამდენისამე წლის წინად პირველად გამოვიდნენ სცენაზედ და დაენახვენ ტფილისის საზოგადოებას სცენის მოყვარეების სახელით და თუმცა თეატრის საქმესა და ხელოვნებაში უვიცნი და მოუმზადებელნი იყვნენ, მაგრამ პირველის გამოსვლისათანავე ისეთი ნიჭი გამოიჩინეს, რომ დღეს არაფრით ჩამოურჩებიან და ჩამოუვარდებიან კონსერვატორიაში ნასწავლს არტისტებსა და არტისტ-ქალებს.

ერთს ამ ჩვენს მოღვაწეთაგანს, რომელსაც ყველაზედ უფრო დიდი ჯაფა და შრომა მიუძღვის ქართულის თეატრის საქმეში, ამ აპრილის 5-ს ათი წელიწადი შეუსრულდა მას შემდეგ, რაც პირველად გამოსულა სცენაზედ. ჩვენის საზოგადოების საყვარელი და ნიჭიერი არტისტი ვასო აბაშიძე ამ ათის წლის წინად გამოსულა პირველად სცენაზედ; 1877 წელს 5 აპრილს პირველად წარმოუდგენიათ ქართულად გრ. სუნდუკიანცის პიესა „ხათაბალა“ და პირველადვე სცენაზედ გამოსულს აბაშიძეს ისაიას როლი შეუსრულებია ამ პიესაში. აი რას ამბობს რუსულის გაზეთის „ტფილისის უწყების“ რეცენზია აბაშიძის პირველს დებიუტზედ. როგორც გვითხრეს, ეს რეცენზია თვით პატივცემულს რედაქტორს კ. ბებუთაშვილს ეკუთვნისო:

> „Самое выдающееся лицо піесы, купчикъ Исай, представитель міровозрѣнія своей среды, и принимающій наиболѣе активное участіе во всѣхъ трехъ дѣйствіяхъ. Роль эту исполнялъ **Василій Абашидзе**, обнаружившій положительный и недюженный талантъ. Его игра была безукоризненна; все въ немъ до мельчайшихъ подробностей гримировки, жестикуляціи, отличалось вѣрностью типа.“

მას შემდეგ ათი წელიწადია ნიჭიერი არტისტი სცენას არ მოჰშორებია, თავი არ დაუნებებია თავის საყვარელის საქმისათვის და რამდენიმე შემთხვევაც იყო, რომ იმ შიშით, ვაი თუ თეატრის საქმე ძირს დაეცეს და სრულიად განადგურდესო, მეთაურობისათვის მოუკიდნია ხელი ამ ჭეშმარიტს მშრომელსა ამავე თეატრის საკეთილ-დღეოდ და ფეხზე წამოსაყენებლად. ათის წლის განმავლობაში ბ-ნს აბაშიძეს 135 სხვა-და-სხვა როლი უთამაშნია და ზოგიერთი მათგანი, მგონი, ოცჯერ და ორმოცჯერ გაუმეორებია.

ტფილისის დრამატიულის დასის არტისტებს განუზრახავთ წარმოდგენა გაჰმართონ და იუბილეი გადიხადონ თავის საყვარელის არტისტისა და ამხანაგისა. თქმა არ უნდა, რომ ამ წარმოდგენას ყველა თეატრის მოყვარე დიდის სიამოვნებით დაესწრება და პატივსა სცემს ბ-ნს აბაშიძეს ერთგულისა და ნაყოფიერის სამსახურისათვის.

ორ-ანი

## უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის პოლიტიკურს წრეებში ცდილობენ თურმე, რომ როგორმე ჩაათავებინონ შნებელის დატუსაღების საქმეო და იქამდე გააშიანურონ ეს საქმე, ვიდრე პარლამენტის მიერ ნება დართულ იქმნება, რომ სამხედრო საჭიროებათათვის გადადებული ფული მოხმარებულ იქმნეს თავის დანიშნულს საქმესაო.

— ვენის გაზეთები ძალიან აღელვებულნი არიან თურმე შნებელის დაპატიმრებით და შიშობენ,ვაი თუ ამ უბრალო საქმემ უთანხმოება გამოიწვიოს საფრანგეთისა და გერმანიის შორისაო. თუმცა ორივე სახელმწიფოთა მთავრობანი ცდილობენ, მორიგდნენ ამ საქმის გამო როგორმე, მაგრამ ფრანგებიცა და გერმანელებიც ისე აღელვებულნი არიან ამ საქმით, რომ ძნელად თუ მშვიდობიანი ბოლო მოჰყვესო.

**ინგლისი.** შვიდს პოლიციის მოხელეს ირლანდიის პოლიციისას სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეუტანიათ იმის გამო, რომ ირლანდიაში ძალ-მომრეობით მოქმედების კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა, ირლანდიელნი ძალიან მოგვიძულებენ და არც ჩვენა ვერა თანხმობა მაგ კანონ-პროექტის მიღებისაო.

— ლონდონიდგან დეპეშით აუწყებენ „Politische Correspondenz“-ს: ინგლისი მაგდენს ყურადღებასაც არ აქცევს იმ ამბავს, რომ რუსეთის გავლენა თანდა-თან ძლიერდება ავღანისტანშიო.

**იტალია.** თითქმის გარდაწყვეტილია ომი და ბრძოლა იტალიისა და აბისსინიის შორის. იტალიის მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ საგანგებოდ მასხოვაისკენ 20,000 კაცი გაჰგზავნოს აბისსინიელთა მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად. აბისსინიელებიც, როგორც ამბობს გაზეთი „ოფრეტი“, რომელიც მასსოვაში იბეჭდება ოსმალურს ენაზედ, ემზადებიან იტალიელების დასახვედრად. ამას წინად აბისსინიელთ სამხედრო რჩევა ჰქონიათ და გარდაუწყვეტიათ, რომ თეკლა ჰაიმანი მენელიკის წინააღმდეგ უნდა გაემგზავროს და საშუალება მოუსპოს იმის ჯარს იტალიის ჯართან შეერთებისა; თვით მეფე-კი აბისსინიელებისა, მისი მემკვიდრე და რას-ალულა იტალიის ჯართან გავლენ საბრძოლველად 40,000 ჯარის-კაცითაო.

## დეპეშა

17 აპრილი

**ვენა.** ბოლგარიიდამ მოდის ამბები, რომ იქ რევოლიუციის მოხდენას აპირობენო. გოლემოსა, განარასა და ნოვო-სელცას უკვე მოხდა არეულობანი.

18 აპრილი

**პეტერბურგი.** გაზეთები გვაუწყებენ სამზღვარ-გარეთის პასპორტებზედ შემოსავლების ბაჟის პროექტი სახელმწიფო საბჭოში შეცვლილ-იქმნაო: ყველას განურჩევლად გამოერთმევა თთვეში 12 მანათი ბაჟი ქაღალდის ფულითაო. ამ სახით შემოსული ფული მოხმარდება რუსეთის სამადნო წყლების განკარგებასო.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს აუწყეს ბერლინიდამ, რომ იმპერატორის ვილ-ჰელმის ბრძანებით შნებელი დაუყოვნებლივ იქმნება განთავისუფლებული, იმიტომ-რომ რადგანაც გერმანიის კომისარს მოუწვევია შნებელი სამზღვარზედ სალაპარაკოდ, გერმანიის მთავრობას ამ მოწვევით შნებელ-ის გამოსვლა გერმანიის მხრით ნება-დართვად უცვნია.

ელზას-ლოტარინგიაში განზრახვა აქვთ სამხედრო წესნი შემოიღონო.

**ბელგრადი.** სამინისტრო კრიზისი საგარეო პოლიტიკის გამო გამოწვეული, უფრო გაძლიერდა მეფემ მოილაპარაკა ხორვატოვიჩთან ახალის სამინისტროს შედგენის თაობაზედ, მაგრამ ვერ მოურიგდა, რადგან ხორვატოვიჩმა მოითხოვა, რომ გარეშემო საქმეთა მინისტრად რისტიჩი დაინიშნოსო.

**ლონდონი.** ქაბულიდამ იწერებიან, რომ იქითკენ ამ უკანასკნელს დროს მშვიდობიანობა ჰსუფევსო.